სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მარიამ ჩუბინიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	84	100

თარიღი : 17.09.2024

გოგა კიკილაშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო") 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

მარიამ ჩუბინიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. ,,საბჭოს" 2024 წლის 22 ივლისის №.1/52 განკარგულებით დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი.

1.2. ,,საბჭოს" 2024 წლის 15 აგვისტოს №.1/77 განკარგულებით, მიმდინარე კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **მარიამ ჩუბინიძე** (შემდგომში - ,,კანდიდატი").

1.3. ,,საბჭოს" შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი") 35-ე და 34^2 მუხლებით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია ,,კანდიდატის" შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. ,,კანონის" 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, ჩემი მონაწილეობით, ,,საბჭომ" ჩაატარა ,,კანდიდატის" საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი", როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ,,საბჭოს" შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. ,,კანდიდატი" 33 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი). სპეციალობით მუშაობს 13 წელია, კერძოდ:

- 2012 წლის ოქტომბერი - 2013 წლის აპრილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მომსახურების ცენტრის კონსულტანტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2013 წლის აპრილი - 2014 წლის იანვარი - მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2013 წლის მაისი - 2014 წლის იანვარი - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2014 წლის იანვარი - 2015 წლის მაისი - სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივანი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2014 წლის აპრილი - 2015 წლის თებერვალი - სამართლებრივი და ორგანიზაციული განყოფილების მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2015 წლის მაისი - 2018 წლის ივლისი - ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2018 წლის ივლისი - 2023 წლის ივლისი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მოსამართლის თანაშემწე პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, კურსდამთავრებული.

2.1.2. ,,კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის მოსმენის, გაანალიზების, გადაწყვეტილების მიღების უნარს და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. ამასთან, ახასიათებენ, როგორც დისციპლინირებულ, შრომისმოყვარე, შედეგზე ორიენტირებულ, პროფესიონალ, კეთილსინდისიერ, შრომისმოყვარე და გულისხმიერ პიროვნებას.

2.1.3. კანდიდატის მარიამ ჩუბინიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი არანაირი ინფორმაცია.

კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით.

არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია.

უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატი“ 1 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის; ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მარიამ ჩუბინიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

„კანდიდატის“ მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2.1.6. „კანდიდატი“ არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 7.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სამოქალაქო სამართლში მარიამ ჩუბინიძე მაღალ დონეზე ფლობს მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას. შესწევს უნარი თეორიული ცოდნა შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს თეორიული ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის. მის მიერ შედგენილი პროცესუალური დოკუმენტები გამოირჩეოდა აზრის ლაკონურად, თანმიმდევრულად ჩამოყალიბებით, ფაქტების ზუსტი და სწორი შეფასებით, მკაფიო სამართლებრივი დასაბუთებით.

ადმინისტრაციულ სამართალში მარიამ ჩუბინიძე კარგად იცნობს მოქმედ კანონმდებლობას, ფლობს თეორიულ ცოდნას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული გულმოდგინება მუშაობის პროცესში და უდიდესი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების მიმართ.

სისხლის სამართალში სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დებულებების ცოდნა. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება.

2.1.7. „კანდიდატმა“ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სასწავლო პროგრამებსა და ღონისძიებებში, მაგ.:

- ბავშვის უფლებათა კოდექსი, - Prolog, 2021 წელი;
- სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2021 წელი;
- ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰაგის 1980 წლის კონვენცია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2021 წელი;

- მედიაცია - USAID-PROLOG, 2021 წელი;
- სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების სტანდარტების მიხედვით - UNDP, 2021წელი;
- კანონი პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის შესახებ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2022 წელი;
- ვალდებულებითი სამართლის პრობლემატური საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2022 წელი;
- დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2023 წელი.

2.1.8. „კანდიდატი" არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.9. „კანდიდატი" ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს" წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

„კანდიდატმა" პრაქტიკულად ყველა შეკითხვას უპასუხა სრულფასოვნად და ამომწურავად. გამოავლინა სამართლის და სასამართლო პრაქტიკის, მათ შორის ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის კარგი ცოდნა.

„კანდიდატმა" საჯარო მოსმენის დროს გამოავლინა მოსამართლის თანამდებობისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევები.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის მიმართ კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს კეთილსინდისიერების შემდეგ კომპონენტებს:

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი";
ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა";
გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა";
დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია".

3.2. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, თუ შემფასებლის წინაშე არ არის წარმოდგენილი ამ პრეზუმფციის გაქარწყლებისთვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2.1.,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - **,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი"**, შეფასების დროს ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, გაითვალისწინება: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შედეგად არ იკვეთება გარემოება, რაც მომცემს კანდიდატის მიმართ მოქმედი პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის პრეზუმფციის საწინააღმდეგოს მტკიცების საშუალებას, ამიტომ მიმაჩნია, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3.2.2. მოსმენის და მოძიებული მონაცემების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ ,,კანდიდატი" არის დამოუკიდებელი და გარე ფაქტორების გავლენის მიუხედავად შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

3.2.3. მოსმენის შედეგების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ,,კანდიდატი" კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობის დროს ავლენს კორექტულობას და კოლეგიალურობას, არის თავდაჭერილი, კოლეგების მიმართ ავლენს პატივისცემას. შესაბამისად, მაქვს საფუძველი მივიჩნიო, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.2.4. მოსმენის და მოძიებული მონაცემების ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა გარემოება, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ ,,კანდიდატს" აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში, შესაბამისად, მივიჩნევ, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

3.2.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის კანონით განსაზღვრულ ყველა მახასიათებელს, მიმაჩნია, რომ **,,კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს** ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ,,კანდიდატის" შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების[1] ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მიცემული შემდეგ დასკვნამდე:

*4.1.1. ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის **,,სამართლის ნორმების ცოდნის"** [2] მაქსიმალური შეფასება ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შეადგენს 25 ქულას.*

,,კანდიდატის" მოსმენის, მოპოვებული ინფორმაციის და წინამდებარე შეფასების 2.2 პუნქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ,,კანდიდატს" აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა.

,,სამართლის ნორმების ცოდნის" კომპონენტით „კანდიდატს" ვაფასებ 21 ქულით.

*4.1.2. ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი გათვალისწინებული **,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის"**[3] მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 25 ქულით.*

საჯარო მოსმენის დროს „კანდიდატმა" გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთების კარგი უნარები სხვადასხვა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხების განხილვის დროს.

,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ 21 ქულით.

---

[1] იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

[2] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

[3] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

*4.1.3. ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული[4] ,,**წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის**" მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.*

შეფასების დროს „კანდიდატის" საჯარო მოსმენის შედეგებთან ერთად გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში „კანდიდატის" შედეგიანობა და სკოლის შეფასება, ასევე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი, რის შედეგადაც *,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ **18** ქულით.*

*4.1.4. ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით დადგენილია ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ,,**პროფესიული თვისებების**"[5] მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა.*

მოძიებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიმაჩნია, რომ ,,კანდიდატი" არის მიზანდასახული და შრომისმოყვარე, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და მრავალწლიანი წარმატებული პროფესიული საქმიანობის გამოცდილება.

*,,პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" ვაფასებ **12** ქულით.*

4.1.5. ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა"[6] ამავე ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 10 ქულით.

,,კანდიდატი" აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში რაც მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ მას გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის დიდი ინტერესი, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

*,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" ვაფასებ **8** ქულით.*

4.1.6. ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ,,პროფესიული აქტივობის"[7] მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება ამავე ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 5 ქულას.

არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დავადგინე რომ ,,კანდიდატი" შესაძლებლობის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის სამუშაო შეხვედრებში, დისკუსიებსა და სემინარებში,

---

[4] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.
[5] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.
[6] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-13 პუნქტით.
[7] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-14 პუნქტით.

სადაც იგი იჩენს ინიციატივას და სხვადასხვა იდეებს წარუდგენს საზოგადოებას. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 4 ქულით.

4.2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს“ ჯამურად ვაფასებ 84 ქულით.

ხელმოწერა: 17 / 09 / 2024

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი